## პროგრამაში მონაწილეობენ

გიორგი ხუციშვილი - პროფესორი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთა-შორისო კვლევითი ცენტრის დამფუძნებელი და დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

გიორგი ნიჟარაძე - ფსიქოლოგიურ მეცნი-ერებათა კანდიდატი, ცენტრის კვლევისა და ანალიზის სამსახურის ხელმძღვანელი.

რუსუდან მშვიდობაძე - ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ანალიტიკოსი, ტრენერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი.

დალი ბერეკაშვილი - ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ტრენერი.

თინა ასათიანი - ტრენერი - ფასილიტატორი

მაია რაზმაძე - ტრენერი - ფასილიტატორი

ლია (ხათუნა) სანიკიძე - ტრენერი - ფასილიტატორი

თამუნა ციხისთავი - ტრენერი - მედიატორი.

ICCN

პროგრამის მისამართია:

ივ. მაჩაბელის ქ. №5, 1-ლი სართ.

თბილისი 380007, საქართველო

ტელეფონი: (995 32) 999987

ფაქსი: (995 32) 939178

ელ.ფოსტა: **confpro@access.sanet.ge**

***© 2001 by ICCN***

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

ICCN

# საგანმანათლებლო პროგრამა მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების მოგვარების დარგში

CORDAID

## საგანმანათლებლო პროგრამა მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების მოგვარების დარგში

დაიწყო 2000 წლის ნოემბერში. სხვა მიმართულებებთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებს ტრენინგ-სემინარების სერიასაც.

ტრენინგის შედეგად მონაწილენი თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლე-ბიან კონკრეტულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

ასეთი მომზადება ეხმარება მათ გააც-ნო-ბიერონ მშვიდობის მშენებლობის, დემოკრატიული ღირებულებების,ადამიანის უფლებების არსი; შეიძინონ კონკ-რეტული უნარ-ჩვევები კონფლიქ-ტური და პრობლემური სიტუაციების დასა-ძლევად არაძალადობრივი, თანამ-შრომ-ლობითი გზით.

ტრენინგ-სემინარებსა და პროგრამის სხვა ღონისძიებებში მონაწილების მიღება შეუძლია ყველას, ვინც მზადაა, აქტიურად ჩაერთოს და ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას.

პროგრამის ფარგლებში გამოდის ყოველთვიური ბიულეტენი ‘‘**დრო მშვიდობისა**’’, რომლის დევიზია

**PAX QUAERENDA EST**

**მშვიდობა უნდა მოიპოვო**

მადლობას ვუხდით ჰოლანდიურ ფონდ „კორდეიდ"-ს ფინანსური მხარდაჭერისთვის

CORDAID

დემოკრატიული საზოგადოება აფუძნებს და იცავს ადამიანის განუყოფელ უფლებებს. დემოკრატიული საზოგადოება გულისხმობს პრობლემათა არაძალადობრივ მოგვარებას. ტრენინგები ეყრდნობა ინტერაქტიული, არატრადიციული მეთოდების მთელ სისტემას.

**საგანმანათლებლო პროგრამა მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების მოგვარების დარგში გთავაზობთ ტრენინგებს შემდეგ თემებზე:**

- დემოკრატიული ღირებულებები;
- ადამიანის უფლებები;
- არაძალადობა: კონფლიქტების არაძალადობრივი გადაწყვეტა;
- კონფლიქტის არსი და მისი განვითარების ეტაპები;
- კონფლიქტების პრევენცია;
- კონფლიქტის გადაწყვეტის გზები;
- ეფექტური კომუნიკაცია;
- პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტა;
- შემოქმედებითი აზროვნება;
- მოლაპარაკების წარმართვა;
- თანამშრომლობის დაგეგმვა.

ტრენინგების შედეგად თქვენ დარწმუნდებით, რომ

**მშვიდობის შენება თვითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული**

თქვენ აგრეთვე:

- შეგექმნებათ წარმოდგენა დემოკრა-ტიული მმართველობის უპირატე-სობის შესახებ;
- დარწმუნდებით, რომ არაძალადობა ძლიერთა იარაღია;
- ისწავლით თქვენი უფლებების დაცვის ხერხებს სხვა ადამიანების უფლებათა შეულახავად;
- დასძლევთ ნეგატიურ სტერეოტიპებს;
- გაეცნობით კონფლიქტის უარყოფით და დადებით მხარეებს;
- ისწავლით კონფლიქტური სიტუაციების დაძლევას;
- დაეუფლებით ეფექტურ კომუნიკაციას;
- შესძლებთ მოწინააღმდეგეში პარტნიორის დანახვას;
- დაეუფლებით აქტიური მოსმენის ჩვევას;
- შეძლებთ საკუთარი ემოციების მართვას;
- შეძლებთ კონფლიქტურ სიტუაციაში შესაბამისი სტრატეგიის შერჩევას;
- შეძლებთ მოლაპარაკების ეფექტურ წარმართვას;
- ისწავლით მხარეებისათვის ურთიერთ-მისაღები გადაწყვეტილების მიღწევას.